1940/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივნისის 1 № 11 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

41. ადგილობრივი გადასახადების და გამოსაღებების გამოანგარიშების და გადახდევინების წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

41. ადგილობრივი გადასახადების და გამოსაღებების გამოანგარიშების და გადახდევინების წესის შესახებ.

ადგილობრივი გადასახადების და გამოსაღებების გამოანგარიშების და გადახდევინების მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. საერთო დებულებანი.

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ შემდეგი ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები:

ა) შენობის გადასახადი,

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი,

გ) ოთხფეხი საქონლის გადასახადი ქალაქებში,

დ) თითოჯერითი გამოსაღები ბაზრებზე ვაჭრობის უფლებისათვის.

2. 1 მუხლში ნაჩვენებ გადასახადების და გამოსაღებების გარდა სწარმოებს მიწის რენტის, აგრეთვე სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადის გადახდევინება.

II. შენობის გადასახადი.

3. შენობის გადასახადით შეიძლება დაიბეგროს მე-4 მუხლში აღნიშნულ გამონაკლისით ის შენობები, რომლებიც იმყოფებიან, როგორც ცალკე მოქალაქეების, ისე სახელმწიფო საწარმოების და დაწესებულებების კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მფლობელობაში ან სარგებლობაში ქალაქად და სოფლის ადგილებში:

ა) საცხოვრებელი სახლები, საფაბრიკო-საქარხნო შენობები, საწყობები, სავაჭრო-სამრეწველო სათავსოები, თეატრები და ყოველგვარი სხვა—შენობები მომსახურეობის გამწევ ნაგებობებით.

ბ) რელიგიური კულტის საზოგადოებების მიერ გამოყენებული შენობები (სამლოცველო შენობები) მომსახურეობის გამწევ ნაგებობებით.

შენიშვნა. მიწის ზევით და მიწის ქვეშ საფაბრიკო-საქარხნო აღნაგობანი და მოწყობილობანი შენობის გადასახადით არ იბეგრებიან.

4. შენობის გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) შენობები მომსახურე ნაგებობებით, რომლებიც დადგენილი წესით გადაცემული აქვთ გამგებლობაში თავდაცვის სახალხო კომისარიატს და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, იმ ნაწილებში, რომელიც უშუალოდ დაკავებულია წითელი არმიის და ფლოტის სამხედრო ჯარის ნაწილების მიერ;

ბ) შენობები, რომლებიც გამოყენებულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის, [illegible] საქმეთა სახალხო კომისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარების უფროს შემადგენლობის საერთო საცხოვრებელ სახლებად;

გ) შენობები მომსახურე ნაგებობებით, რომლებიც იმყოფებიან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამგებლობაში, იმ ნაწილში, რომლებიც დაკავებულია უშუალოდ ამ დაწესებულებების სასამსახურო სადგომების ქვეშ;

დ) შენობები, რომლებიც ეკუთვნით გზათა სახალხო კომისარიატს საზღვაო და სამდინარო ფლოტს და რომლებიც მდებარეობენ რკინიგზის და წყალთა ტრანსპორტისათვის მიჩნეულ მიწებზე, და უშუალოდ გამოყენებულია აღნიშნულ ორგანოების მიერ ტრანსპორტის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის ან ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებლად;

ე) შენობები, რომლებიც ეკუთვნით საერთო მანქანათმშენებლობის, საშუალო მანქანათმშენებლობის, მძიმე მანქანათმშენებლობის, ფერად მეტალურგიის, შავი მეტალურგიის, ელექტროსადგურების, ელექტრომრეწველობის, კვების მრეწველობის, თევზის მრეწველობის და ხორცის და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოებს, რომლებიც მდებარეობენ ამ საწარმოებების ტერიტორიის გარეშე და გამოიყენება უშუალოდ რკინიგზის ტრანსპორტის მისავალ გზების საექსპლოატაციო საჭიროებისათვის ან ამ ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებლად;

ვ) შენობები ან შენობების ნაწილები, რომელიც დაკავებულია სასამსახურო სადგომების ქვეშ უშუალოდ პროფესიონალური კავშირების და მათი ორგანოების, შრომის სასახლეების და მუშათა ორგანიზაციების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ;

ზ) შენობები, რომლებიც დაკავებულია სრულიად-საკავშირო პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს და მის გამგებლობაში მყოფ სანატორიუმების, დასასვენებელ სახლების და საინვალიდო დაწესებულებების მიერ, და გამოიყენებიან უშუალოდ ამ დაწესებულებათა მიზნებისათვის, იჯარით გაუცემლად ან სხვა სახის საკომერციო ექსპლოატაციის გაუწევლად;

თ) შენობები, რომლებიც დაკავებულია სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა მიერ და დადგენილი წესით მოყვანილია კონსერვაციის მდგომარეობაში;

ი) შენობები, რომლებიც დაკავებულია შეიარაღების, საომარი მასალების, საავიაციო მრეწველობის და გემთმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოთა მიერ;

კ) არა გასაქირავებელი საცხოვრებელი შენობები მათი მომსახურე ნაგებობებით სოფლის ადგილებში, გარდა იმ შენობებისა, რომლებიც მარტოოდენ სააგარაკო სადგომებად გამოიყენება;

ლ) შენობები, რომლებიც შეადგენენ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა პირად საკუთრებას და ექვემდებარებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) გლეხთა სახლების შენობები მომსახურე ნაგებობებით, რომლებიც გამოყენებულია იჯარით გაუცემლად ან სხვა სახის საკომერციო ექსპლოატაციის გაუწევლად;

ნ) ფიზიკური კულტურის საქმეთა კომიტეტების და პროფესიონალური კავშირების გამგებლობაში მყოფი სასრიალოების, სათხილამურო სადგურების და მოედნების შენობები, იმ პირობით თუ დასახელებული კომიტეტები და პროფესიონალური კავშირები ეწევიან უშუალოდ, მათ ექსპლოატაციას იჯარით გაუცემლად;

ო) იპოდრომების შენობები;

პ) შენობები, მიკუთვნებული ადგილობრივი საბჭოების ქონებაზე;

ჟ) შენობები, რომლებიც ეკუთვნიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საზღვრო და შინადაცვის ჯარების საკადრო-მერიგეთა და უფროს შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა გრძელ-ვადიან შვებულებაში მყოფთა), აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს, თუ ეს შენობები დაკავებულია უშუალოდ აღნიშნული პირების მიერ და არ ექსპლოტირდება მათ მიერ ბინების, ან ოთახების გაქირავების გზით.

ეს შეღავათი ვრცელდება იმ საშენაწერო წლის ბოლომდე, რომელშიაც აღნიშნული სამხედრო მოსამსახურენი გაშვებულნი იყვნენ გრძელვადიან შვებულებაში, თადარიგში, ან სრულებით სამსახურიდან;

რ) შენობები, რომლებიც ეკუთვნით საბჭოთა კავშირის გმირებს, სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულ პირებს და პერსონალურ პენსიონერებს, თუ ეს შენობები დაკავებულია უშუალოდ მათსა და მათი ოჯახის წევრების მიერ და არ ექსპლოტირდება ბინების გაქირავების გზით;

ს) კოლმეურნეობების ყველა შენობები, მდებარე იმ მიწებზე, რომლებიც მიმაგრებულია კოლმეურნეობებზე უფასო და უვადო სარგებლობაში ე. ი. სამუდამოდ.

5. შენობის გადასახადის გადახდევინება სწარმოებს შემდეგი რაოდენობით:

ა) სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა შენობებიდან — საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 0,75% (ამორტიზაციისათვის მონაკლების გარეშე);

ბ) საალმშენებლო მასალათა (აგურის, კრამიტის და სხვ.) სახელმწიფო და კოოპერატიულ სამრეწველო საწარმოთა შენობებიდან შენობის ღირებულების 0,5% (ამორტიზაციის გამოკლებით);

გ) განსაზოგადოებული სექტორის დანარჩენ შენობებიდან საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 1% (ამორტიზაციაზე მონაკლების გარეშე);

დ) მუშების და მოსამსახურეების და მათთან გათანაბრებულ პირების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების შენობებიდან—სახდაზღვევის შეფასების ღირებულების არა უმეტეს 1%;

ე) იმ პირთა შენობებიდან, რომლებიც დაბეგრილი არიან საშემოსავლო გადასახადით კანონის 19 მუხლით გამოანგარიშებულ გადასახადის 40%-ით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიდებით, და სამლოცველო შენობებიდან სახდაზღვევის შეფასების ღირებულების 2%;

ვ) დანარჩენ შენობებიდან სახდაზღვევის შეფასების ღირებულების არა უმეტეს 1,5%;

6. განსაზოგადოებულ სექტორის შენობებიდან გადასახადი გამოიანგარიშება დაწესებულებების, საწარმოებების და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ითვლებიან გადასახადის გადამხდელებად, მხოლოდ მოქალაქეთა შენობებიდან—საგადასახადო ორგანოების მიერ.

გადასახადის გადახდის ვადებს აწესებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონული და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტები. რეკომენდირებულ იქნეს განსაზოგადოებული სექტორის გადამხდელთათვის, რათა გადასახადის ვადები დაწესდეს არა უგვიანეს: 15 თებერვლისა—25%, 15 აპრილისა—25%, 15 აგვისტოსა—25% და 15 ნოემბრისა—25% რაოდენობით, ხოლო ცალკეულ მოქალაქეებისათვის არაუგვიანეს: 15 თებერვლისა—50%-ის და 15 აპრილისა—50% რაოდენობით.

7. შენობის გადასახადს იხდის შენობის მესაკუთრე ან მისი ფაქტიური მფლობელი (ფიზიკური ან იურიდიული პირი).

III. მიწის რენტა.

8. რენტის გადახდევინება სწარმოებს აღნაგიან და უაღნაგო მიწებიდან, რომლებიც დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა სარგებლობაშია, უკეთუ ამ მიწების და მათზე გაშენებულ შენობების სარგებლობისათვის მათ არ ხდებათ საიჯარო ქირა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სასარგებლოდ.

ქვემოდ ჩამოთვლილ მიწებიდან საიჯარო ქირის გადახდევინება არ დაიშვება და შეიძლება გადახდევინებული იქნას მიწის რენტა:

ა) მიწებიდან, რომლებიც მომსახურეობას უწევენ იმ შენობებს, რაც კოოპერატიულ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს ეკუთვნით საკუთრების უფლებით, უვადო სარგებლობის უფლებით ან აღნაგობის უფლებით.

ბ) მიწებიდან, რომლებიც გადაცემულია სახელმწიფო საწარმოებზე მათი წესდების და დებულების მიხედვით ან უვადო სარგებლობის უფლების საფუძველზე;

გ) მიწებიდან, რომლებიც მომსახურეობას უწევს სახელმწიფო ორგანიზაციების შენობებს, გარდა იმ შენობებისა, რომლებიც მიკუთვნებულია ადგილობრივი საბჭოების ქონებაზე;

დ) მიწებიდან, რომლებიც გადაცემული აქვთ საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს უვადო სარგებლობაში.

9. რენტა გამოიანგარიშება მიწის ნაკვეთის ფართობის კვადრატიულ მეტრების რაოდენობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. რენტის გადახდისაგან თავისუფლდებიან მიწები:

ა) სასაფლაოებისათვის გამოყოფილი მიწები;

ბ) ბანაკების, თოფის სასროლ მინდვრების, პოლიგონების, აეროდრომების და დასაშვებ მოედნების ქვეშ, რომლებიც იმყოფებიან თავდაცვის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატების და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარების განმგებლობაში ან სარგებლობაში,—აგრეთვე აეროდრომების და დასაშვებ მოედნების ქვეშ, რომლებიც იმყოფებიან საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის გამგებლობაში ან სარგებლობაში;

გ) დაკავებული მუშურ-გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარების უფროს შემადგენლობის საერთო საცხოვრებლების სახლების მიერ;

დ) ციხე-სიმაგრეების ნაგებობათა და სამხედრო პორტების ქვეშ;

ე) „ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების შესახებ“ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1933 წ. 7 თებერვალს დამტკიცებული დებულების საფუძველზე ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწები (სსრკ კან. კრ. 1933 წ. № 12, მუხ. 66 ბ);

ვ) დაკავებული საერთო მანქანათმშენებლობის, საშუალო მანქანათმშენებლობის, მძიმე მანქანათმშენებლობის, ფერადი მეტალურგიის, შავი მეტალურგიის, ელექტრო სადგურების, ელექტრო მრეწველობის, კვების მრეწველობის, თევზის მრეწველობის და ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოების რკინიგზის ქსელით, რომელიც მდებარეობს ამ წამოწყებათა ტერიტორიის გარეშე და გამოიყენება უშუალოდ რკინიგზის ტრანსპორტის მისავალ გზების საექსპლოატაციო საჭიროებისათვის, ან ამ ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებლად;

ზ) მეურნეობათა პირად სარგებლობაში მყოფი მიწები, რომლებიც იბეგრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით;

თ) შენობების ქვეშ (მათზე მიკუთვნებული საეზოვე ადგილებით), რომლებიც უჭირავთ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებს და საწარმოებს, თუ ეს შენობები არ გამოიყენება გაქირავების გზით;

ი) სახელმწიფო ელექტრო სადგურების ელექტრო გადამცემის და განმანაწილებელ ქსელის ქვეშ აგრეთვე კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ტექნიკურ დანადგარების ქვეშ;

კ) შენობების ქვეშ (მათზე მიკუთვნებული ეზოებით და ბაღებით), რომლებიც უჭირავთ სამეცნიერო სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებებს, დასასვენებელ სახლებს, საბავშვო სახლებს და ინვალიდთა სახლებს, რომლებიც ეკუთვნიან სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) შენობების ქვეშ, რომლებიც უჭირავს პროფესიონალურ ორგანიზაციებს, მუშათა კლუბებს და გლეხთა სახლებს;

მ) საბავშვო მოედნების, ფიზიკური კულტურის სასპორტო სტადიონების და იპოდრომების ქვეშ;

ნ) შენობების ქვეშ, რომლებიც უჭირავს უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს—ურთიერთობის პირობებში;

ო) მიწები, რომლებიც იმყოფებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარის საკადრო მერიგეთა და უფროს შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახების წევრთა სარგებლობაში, იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების წევრთა შეღავათების კოდექსში.

ეს შეღავათი ვრცელდება საშენაწერო წლის ბოლომდე, რომელშიაც აღნიშნული სამხედრო მოსამსახურენი გაშვებულნი იყვნენ გრძელვადიან შვებულებაში, თადარიგში ან სრულიად სამსახურიდან;

პ) სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების ქვეშ, რომლებიც დადგენილი წესით მოყვანილია კონსერვაციის მდგომარეობაში, თუ მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთები ან მასზე აგებული შენობები არ გამოიყენება საწარმოს სხვა რაიმე საჭიროებისათვის;

ჟ) მიწის ნაკვეთები, რომლებიც აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემულია საცხოვრებელი შენობების ასაგებად, ნაკვეთის გამოყოფის დროიდან სამი წლის გასვლამდე დღიდან შენობის აგებისა;

რ) სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ საცხოვრებელი შენობების ასაგებად, საალმშენებლო სამუშაოს დაწყებიდან 3 წლის გასვლამდე დღიდან შენობის აგებისა;

ს) საერთოდ გავრცელებულ და არა წიაღისეულ საბადოების და კარიერების ნაკვეთები, რომლებიც გამოყოფილია საშენი მასალის ამოღებისა და დამუშავებისათვის;

ტ) სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სარგებლობაში;

უ) მიმაგრებული საბჭოთა მეურნეობებზე;

ფ) მიმაგრებული კოლმეურნეობებზე უფასო და უვადო სარგებლობაში ე. ი. სამუდამოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სარგებლობაში მყოფი მიწები, გარდა იმ მიწებისა შენობების ქვეშ (მათზე მიკუთვნილი ეზოს ნაკვეთებით), რომლებიც ქირავდებიან, მათ რიცხვში თავის მუშებსა და მოსამსახურეებზე;

ღ) მიწები, რომლებიც გამოყენებულია მუშებისა და მოსამსახურეების მიერ ბოსტნების, ხილნაყოფის ბაღების და სათიბების ქვეშ.

შენიშვნა 1. შენობის აგების დღიდან სამი წლის გასვლის შემდეგ რენტა გადახდება ნახევრის რაოდენობით იმ ნაკვეთებიდან, რომლებიც მოხსენებულია „ჟ“ პუნქტში—აღნაგობის უფლების შესახებ ხელშეკრულების მთელი დანარჩენი ვადის განმავლობაში აგრეთვე „რ“ პუნქტში აღნიშნულ ნაკვეთებიდან შემდგომი 30 წლის განმავლობაში.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „ჟ“ და „რ“ პუნქტებით დაწესებული შეღავათები გავრცელდება იმ პირობით თუ აგებული შენობების საცხოვრებელი ფართობი შეადგენს ამ ნაგებობათა საერთო ფართობის არა ნაკლებ 75%.

აღნიშნული შეღავათების მისაცემად, საცხოვრებელი ფართობის განსაზღვრისას, ამ ფართობში ჩაითვლება სამზარეულოები, წინა შესასვლელი, დერეფანი, საბაზანო, საპირფარეშო და სხვა მსგავსი საერთო სარგებლობის სადგომები. ეს შეღავათები ვრცელდება შენობის დასრულების, დაშენების, მიშენების, გადაკეთებისა და შენობების აღდგენის შემთხვევაში—მათი საცხოვრებლად გამოყენების მიზნით, რომლებიც მომქმედ კანონმდებლობით გათანაბრებულია აღნაგობასთან.

11. რენტის განაკვეთების დადგენისათვის ყველა დასახლებული ადგილები დაიყოფა კლასებად მათი ადმინისტრატიული მნიშვნელობის, მოსახლეობის რაოდენობის და ძირითადი საქმიანობისა, მრეწველობის განვითარებისა, სამიმოსვლო გზათა მდგომარეობის და სხვა ეკონომიური პირობების დამოკიდებულებით, რომელნიც გავლენას ახდენენ მიწების რენტაბელობაზე.

საქართველოს სსრ დასახლებული ადგილების კლასებად დაყოფა სწარმოებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

12. რენტის უმაღლესი ზღვრული განაკვეთები კვადრატიულ მეტრზე (კაპეიკებში), დასახლებულ ადგილების კლასებისა და მიწების კატეგორიების მიხედვით წესდება შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა კ ა ვ ე ბ უ ლ ი მ ი წ ე ბ ი

დასახლებული ადგილების კლასები	სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებით როგორც აღნაგიანი ისე უაღნაგო.	სავაჭრო და საკანტორო სადგომებით და საქონლის საწყობებით გარდა ღია (არა სადგომში) საერთო სარგებლობის საწყობებისა.	სხვა შენობების, ნაგებობების და აგრეთვე ღია (არა სადგომში) საერთო სარგებლობის საწყობებისა.	ეზოებით, ბოსტნებით, ბაღებით, სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწებით. აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა კუთვნილი (გარდა სახელმწიფოსა) ღია (არა სადგომში) მასალის სათბობის და საქონლის საწყობებისა.
I	0,5	6	2	0,5
II	1	12	4	1
III	2	24	7	2
IV	3	36	10	3
V	4	60	15	4
VI	5	80	20	5
VII	6	100	25	7
VIII	7	120	30	8
IX	8	200	45	10
X	10	350	70	15

13. რენტის განაკვეთები თითოეულ დასახლებულ ადგილისათვის წესდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ ცალ-ცალკე ქალაქებისა და ქალაქ გარედ მდებარე მიწებისათვის, საჭირო შემთხვევაში დასახლებული ადგილების ცალკე ნაწილებად დიფერენცირებით, ამა დადგენილების მე-12 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში და მე-14—16 მუხლებში ნაჩვენები წესების დაცვით.

შენიშვნა. განაკვეთებით, რომლებიც დაწესებულია შენობით დაკავებულ მიწებისათვის, დაიბეგრება მხოლოდ ის ფართობი, რომელიც თვით შენობას უჭირავს, დანარჩენი საეზოვე ადგილის ნაწილი კი დაიბეგრება იმ განაკვეთით, რომელიც დაწესებულია ეზოების, ბაღების და ბოსტნებისათვის.

14. სახელმწიფო დაწესებულებათა, სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების და მათთან გათანაბრებულ პირებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, რენტის განაკვეთი მცირდება არა ნაკლებ 25%-ით, იმ განაკვეთების მიმართ, რომლებიც დაწესებულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ ანალოგიური მიწებისათვის, რომლებიც დაკავებულია სხვა მიწათ მოსარგებლეების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, მათთან გათანაბრებულ პირების და მათი ოჯახის წევრებისათვის, რომლებსაც მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვთ გაქირავებული მათი კუთვნილი შენობები, რენტის განაკვეთი მცირდება 50%-ით იმ განაკვეთების მიმართ, რაც დაწესებულია ანალოგიური მიწებისათვის, რომლებიც დაკავებულია სხვა მიწათ მოსარგებლეების მიერ.

15. რენტის განაკვეთი მიწის იმ ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემული აქვთ მიწის წიალის დასამუშავებლად სახელმწიფო სამთო და სამთო-საქარხნო საწარმოებს საექსპლოატაციოდ, დაწესდება იმ ანგარიშით, რომ არ აღემატებოდეს უმაღლესი ზღვრული განაკვეთების 25 პროცენტს, რაც დადგენილია სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის.

16. მიწის ნაკვეთებს, რომლებიც უჭირავს სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა ნავთის პროდუქტების, ხე-ტყისა და სხვა ცეცხლსაშიშ საალმშენებლო მასალათა საწყობებს, მიეყენება ის განაკვეთები, რომლებიც დადგენილია სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის.

17. რენტა გადახდება შენობის პატრონს, მოალნაგეს ან იმ დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას და პირს, რომელსაც დადგენილი წესით მიცემული აქვს მიწის ნაკვეთი ან მასზე აგებული შენობა.

18. რენტა განსაზოგადოებული სექტორის მიწებიდან გამოიანგარიშება იმ დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ რენტის გადამხდელებს, ხოლო იმ მიწებიდან, რომლებიც მიცემული აქვთ მოქალაქეებს—საგადასახადო ორგანოების მიერ.

რენტა გადახდება იმავე ვადებში, როგორც შენობის გადასახადი (ამ დადგენილების მე-6 მუხ.).

IV. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი.

19. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადით დაიბეგრებიან ქვემოდ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც ეკუთვნიან მოქალაქეებს:

ა) საჯდომი, შესაბმელი და მუშა ცხენები, რომლებიც გამოიყენებიან პირადი საჭიროებისათვის;

ბ) ცხენები და სხვა ცხოველები (ხარები, ბუღები, კამეჩები, ჯორები, აქლემები და ვირები), რომლებიც გამოიყენებიან ფას გადახდით ზიდვის რეწვაში, მგზავრების გადაყვანაში და ტვირთის გადაზიდვაში, აგრეთვე გასაქირავებლად;

გ) თვითმოძრავი ეკიპაჟი, მოტორიანი ნავები, იახტები, ველოსიპედები, რომლებიც გამოიყენება სამგზავროდ ან მგზავრების გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად;

დ) ნავები რომლებიც გამოიყენება ფას გადახდით მგზავრების გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდათ ან გაიცემა გასაქირავებლად.

20. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადის ზღვრული განაკვეთების დასადგენად საქართველოს სსრ დასახლებული ადგილები მათი ეკონომიური ძალოვნების მიხედვით, დაიყოფა ოთხ კატეგორიად: პირველ კატეგორიას მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნებიან ქალ. თბილისი, ბათომი, სოხუმი და ქუთაისი: მეორე კატეგორიას—ქალ. სტალინირი, სიღნაღი, თელავი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, ჭიათურა, წულუკიძე, სამტრედია, ცხაკაია, ზუგდიდი, ფოთი, მახარაძე; მესამე კატეგორიას დანარჩენი ქალაქები და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები; მეოთხე კატეგორიას—სოფლის ადგილები.

21. მე-20 მუხ. აღნიშნულ კატეგორიების ადგილებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი არ შეიძლება აღემატებოდეს შემდეგ ზღვრულ განაკვეთებს (მანეთებში):

ობიექტების დასახელება	ადგილები			
	I კატ.	II კატ.	III კატ.	IV კატ.
1. საჯდომ, შესაბმელ და მუშა ცხენიდან, რომელიც გამოიყენება მარტოოდენ საკუთარი საჭიროებისათვის—წელიწადში:				
ა) რომელიც ეკუთვნის მუშებსა და მოსამსახურეებს .	175	150	125	100
ბ) რომელიც ეკუთვნის სხვა დანარჩენ პირებს . . .	200	175	150	125
2. გადასაზიდათ გამოსაყენებელ ცხენიდან წელიწადში:				
ა) მსუბუქი ეკიპაჟისათვის	250	225	200	175
ბ) სხვა სატრანსპორტო საშუალებისათვის	200	175	150	125
3. ტვირთის გადაზიდვის გამოსაყენებლად წელიწადში:				
ა) თითოეულ ჯორიდან	175	150	125	100
ბ) ხარიდან, ბუღადან, კამეჩიდან ან აქლემიდან . . .	100	80	70	60
გ) თითოეულ ვირიდან	60	50	45	40
4. მსუბუქ ავტომობილების და სამგზავრო იახტების თითოეულ ძალიდან, წელიწადში	40	35	30	25
5. სატვირთო ავტომობილების, იახტის და მოტოციკლების თითოეული ძალიდან წელიწადში	35	30	25	20
6. თითოეულ ველოსიპედიდან წელიწადში	20	18	15	10
7. უმოტორო სამგზავრო ნავებიდან თითოეულიდან წელიწადში	30	25	20	15

22. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) ნორმალურ სამუშაო ასაკს მიუღწეველი ცხოველები: ცხენები, ხარები, ბუღები, კამეჩები, ჯორები და ვირები სამ წლამდე და აქლემები ოთხ წლამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ისინი ფაქტიურად არ გამოიყენებიან სამგზავრო, ან სხვა მუდმივ სამუშაოზე;

ბ) სატრანსპორტო საშუალებანი იმ პირებისა, რომელთა ძირითადი მოსაქმეობა სოფლის მეურნეობას შეადგენს და თუ ზიდვითი რეწვა მათთვის დამხარე ხასიათს წარმოადგენს და ეს რეწვა სწარმოებს ისეთ ადგილებში, სადაც ტარდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა;

გ) სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც ეკუთვნიან საბჭოთა კავშირის გმირებს, სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულ პირებს, შრომის გმირებს და პერსონალურ პენსიონერებს, თუ ეს საშუალებები გამოიყენება მარტოოდენ აღნიშნული პირების და მათი ოჯახის წევრების პირადი საჭიროებისათვის;

დ) ერთი ცხენი, რომელიც ეკუთვნის მუშურ-გლეხური წითელი არმიის, საზღვაო სამხედრო ფლოტის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარების საკადრო მეროგეთა და უფროს შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა (გარდა გრძელ ვადიან შვებულებაში მყოფთა) და მათი ოჯახის წევრების, თუ ეს ცხენი გამოიყენება მარტოოდენ საოჯახო მეურნეობის მომსახურეობისათვის და ერთი ველოსიპედი;

ე) ავტომობილები და მოტოციკლები, რომლებიც ეკუთვნიან უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხოეთის საავტომობილო საზოგადოების წევრები და იმყოფებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავტომობილების გადანაცვლების შესახებ საერთაშორისო კონვენციის წესით (სსრკ კან. კრ. 1926 წ. № 23, მუხ. 152 და 153), არაუმეტეს თორმეტი თვისა მოსვლის დღიდან, თუ ამასთანავე სათანადო შეღავათი მინიჭებული აქვთ სსრ კავშირის მოქალაქეებს იმ სახელმწიფოს კანონებით, რომლის მოქალაქეებათ ითვლებიან აღნიშნული უცხოელები;

ვ) სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც ეკუთვნიან სსრკ მთავრობასთან არსებულ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს;

ზ) ურთიერთობის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც ეკუთვნიან საკონსულო წარმომადგენლობებს;

თ) ავტომობილები და მოტოციკლები, რომლებიც შეძენილია მშრომელთა მიერ ავტოვალდებულებებით ან მიღებულია პრემიის სახით და გამოიყენებიან მარტოოდენ პირადი საჭიროებისათვის;

ი) საბავშვო ველოსიპედები.

23. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადის გადახდევინება სწარმოებს შემდეგ საფუძველზე:

ა) გადამხდელები სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადით იბეგრებიან დასაბეგრ ობიექტების ადგილმდებარეობის მიხედვით;

ბ) მშომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გადასახადის დადგენილი განაკვეთები და გადასახადის გადახდის ვადები, ცხადდება მშომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოს დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილებაში. ეს დადგენილება გამოქვეყნებული უნდა იქნას არაუგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა, ე. ი. ახალი წლის დაწყებამდე სამი თვით ადრე.

შენიშვნა. სანომრო ნიშნების გაცემის შემთხვევაში დაიშვება მათი დასამზადებელი ღირებულების გადახდევინება.

V. ოთხფეხ საქონლის გადასახადი ქალაქებში.

24. ოთხფეხ საქონლის გადასახადით დაიბეგრება ქვემოდ ჩამოთვლილი მსხვილფეხა საქონელი, რომელიც ჰყავს მოქალაქეებს ქალაქის ფარგლებში:

ა) ძროხები და დეკეულები 2 წლისაზე მეტი ხნისა;

ბ) ხარები, ბუღები, და კამეჩები $2^1/_2$ წელზე მეტი ხნისა;

გ) ვირები და ჯორები 3 წლისაზე მეტი ხნისა;

დ) აქლემები 4 წლისაზე მეტი ხნისა.

შენიშვნა. ვირები, ჯორები და აქლემები, რომლებიც გამოყენებული არიან ფასიან გადაზიდვაზე, აგრეთვე ცხენებიც იბეგრებიან სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადით.

25. ოთხფეხ საქონლის გადასახადი არ შეიძლება თითო სულ საქონლიდან აღემატებოდეს შემდეგ ზღვრულ წლიურ განაკვეთებს მანეთებში:

დასაბეგრ ობიექტების დასახელება	ქალაქები		
	თბილისი ბათუმი, სოხუმი	ქუთაისი ფოთი	დანარჩენი ქალაქები
ა) თითო სულ მსხვილფეხა საქონლიდან, რომელიც ეკუთვნის მუშებს, მოსამსახურეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს—წელიწადში	18	15	12
ბ) თითო სულ მსხვილფეხა საქონლიდან, რომელიც ეკუთვნის სხვა გადამხდელებს წელიწადში	24	20	16

26. ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) საქონელი, რომელიც ეკუთვნის სასოფლო სამეურნეო გადასახადის გადამხდელებს;

ბ) საქონელი, რომელიც ეკუთვნის საბჭოთა კავშირის გმირებს, სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულ პირებს, შრომის გმირებს და პერსონალურ პენსიონერებს და რომელსაც გამოიყენებენ მარტოოდენ თავიანთ და თავიანთ ოჯახის წევრების პირადი საჭიროებისათვის;

გ) საქონელი, რომელიც ეკუთვნის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის, სამხედრო, საზღვაო ფლოტის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარების საკადრო-მერიგეთა და უფროს შემადგენლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხედრო მოსამსახურეებს (გარდა გრძელვადიან შვებულებაში მყოფთა) და მათი ოჯახის წევრებს, თითო სულის რაოდენობით.

VI. თითოჯერითი გამოსაღები ბაზრებზე ვაჭრობის უფლებისათვის.

27. თითოჯერითი გამოსაღები ვაჭრობის უფლებისათვის, როგორც ქალაქად, ისე ქალაქგარედ დასახლებულ ადგილებში საკოლმეურნეო ბაზრებზე გადახდებათ:

ა) კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ გლეხებს, რომლებიც ყიდიან თავიანთ სასოფლო სამეურნეო წარმოების პროდუქტებს, მათ კუთვნილ ოთხფეხ საქონელს და საკუთრივ დამზადებულ ნახშირს, აგრეთვე საკუთარი შრომით მოპოებულ კენკრას, სოკოს, ყვავილებს, თევზს და ნანადირევს;

ბ) ქალაქის მცხოვრებლებს, რომლებიც ყიდიან თავიანთ დამხმარე სოფლის მეურნეობის პროდუქტებს (თავიანთი ძროხის რძის პროდუქტებს, თავიანთ ბაღის ხილს და ბოსტნეულს);

გ) შინამრეწველებს, რომლებიც ყიდიან თავიანთი წარმოების ნაკეთობას;

დ) მოქალაქეებს, რომლებიც ყიდიან ხელზე თავიანთ საოჯახო ნახმარ ნივთებს.

28. თითოჯერითი გამოსაღები ბაზარზე ვაჭრობის უფლებისათვის გადახდებათ შემდეგი განაკვეთებით:

ხელზე და თაბახით ვაჭრობისათვის . . . . 1 მან.
საზიდარიდან „ . : . . . 5 მან.
თითო სულ მსხვილფეხა საქონელით ვაჭრობისათვის . . . . . 5 მან.
თითო სული წვრილფეხა საქონელით ვაჭრობისათვის . . . . . 2 მან. 50 კაპ.

29. თითოჯერითი გამოსაღების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) კოლმეურნეები და ერთპიროვნულები, რომლებიც ხელზე ყიდიან ფრინველებს, კვერცხს, რძეს, კარაქს და ყველს;

ბ) პირნი, რომლებმაც გადაიხადეს ბაზარზე ადგილისათვის საიჯარო ქირა.

30. თითოჯერითი გამოსაღები არ გადახდებათ ვაჭრობისათვის ნავსადგურებზე, რკინისგზის სადგურებზე. გამოსაღების აკრეფა სწარმოებს შინა-ვაჭრობის რაიონულ განყოფილებების ამკრეფლების მიერ.

31. თანხები, შემოსული თითოჯერითი გამოსაღებიდან, მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში და 25%-ის რაოდენობით მიიქცევა ბაზრების ექსპლოატაციის საჭიროებაზე, ხოლო გამოსაღების დანარჩენი 75% მიიქცევა ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით საერთო ხარჯების დასაფარავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. სანახაობისა და გასართობის გადასახადი.

32. სანახაობისა და გასართობის გადასახადი გადახდება:

ა) პირებს, რომლებიც ესწრებიან ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, საავარაკო და საკურორტო ადგილებში გამართულ ფასიან სანახაობებსა და გასართობებს, შესასვლელი ბილეთის ფასის პროცენტული წანამატის სახით.

ბ) წარმოებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ყიდულობენ მთელ სპექტაკლს—სანახაობის მომწყობ საწარმოთათვის ერთდროულად გადახდის გზით პროცენტული წანამატის იმ თანხაზე, რომლითაც ნაყიდი სპეკტაკლი.

აღნიშნული წანამატი სანახაობის საწარმოოს მიერ შეიტანება სათანადო საფინანსო ორგანოში.

33. სანახაობისა და გასართობის გადასახადი წესდება შემდეგი მტკიცე განაკვეთებით:

სანახაობათა და გასართობთა სახეები			
			დაბეგვრის %%
ა) დრამატიული თეატრები	ბილეთების ფასის		5%
ბ) მუზიკალური კომედიები და ოპერეტები	„	„	10%
გ) კონცერტები, ესტრადები და ცირკები	„	„	10%
დ) ატრაქციონები, კარუსელი, საქანელა, სამხეცეები და პანოპტიკუმი	„	„	10%
ე) გამოფენები, ფასიანი ლექციები, მოხსენებები და დისპუტები	„	„	5%
ვ) ფასიანი საერთო სეირნობანი (პარკები, ბაღები, სასრიალოები, სპორტიული შეჯიბრებანი)	„	„	10%
ზ) რბენა და დოღი	„	„	15%
თ) ტოტალიზატორები დოღებზე	„	„	25%
ი) მასკარადები და ცეკვის საღამოები	„	„	20%

34. გადასახადი საჯარო სანახაობასა და გასართობებზე დამსწრეებს ; დახდებათ განუყოფელად აღებულ შესასვლელ ბილეთების ფასთან ერთად.

გადასახადის გადახდევინება ეკისრება საწარმოთა ადმინისტრაციას დ სანახაობა-გასართობების პასუხისმგებელ გამწესრიგებლებს.

შენიშვნა. სანახაობისა და გასართობის ადგილობრივ გადასახადის გადახდევინების წესები გამოიცემა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან შეთანხმებით.

35. გადასახადისაგან თავისუფლდებიან შემდეგი სანახაობა და გასართობებზე მიმსვლელები:

ა) მუზეუმებში;

ბ) ცალკე ს ნახაობებზე, რომლებიც გაიმართება სკოლებში, ყაზარმებში, საავადმყოფოებში, თავშესაფარებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

გ) სპეციალურად ბავშვებისათვის გამართულ სანახაობაზე;

დ) სასპორტო-საჩვენებელ სანახაობებზე, რასაც მართავენ ფიზიკური კულტურის საქმეთა კომიტეტები ფიზიკური განვითარების დღესასწაულებისას, აგრეთვე ქ. თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე და საქართველოს სსრ ქალაქების საზოგადოება „დინამოს“ სხვა წვრილ სასპორტო ნაგებობაზე;

ე) საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების თეატრებსა და ცირკებში, აგრეთვე სიმფონიურ და კამერულ კონცერტებზე და რადიო კონცერტებზე;

ვ) თ/ავიაქიმიის მიერ გამართულ რბენასა და დოღებზე;

ზ) სანახაობებსა და გასართობებზე, რასაც მართავენ სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა გაერთიანება და სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება;

თ) სანახაობებზე, რასაც მართავს საბჭოთა მწერლების კავშირი.

შენიშვნა. სასპორტო—საჩვენებელ სანახაობებს, რასაც ფიზიკური კულტურის საქმეთა კომიტეტები მართავენ ფიზიკური განვითარების დღესასწაულებში (ამ მუხლის პუნქტი „დ“ მიეკუთვნებიან) საერთაშორისო, რესპუბლიკათაშორისო შეჯიბრებები, რაც იმართება ქალაქებისა და ორგანიზაციების პირველობაზე და სპარტაკიადები, აგრეთვე ფიზიკური განვითარების რესპუბლიკური და საოლქო დღესასწაულები, რომლებიც ტარდება განსაზღვრულ ვადებში კამპანიის წესით,—ფიზიკური კულტურის მუშაობის შედეგების შეჯამებისა და აგიტაცია—პროპაგანდის მიზნით.

36. ფასიანი სანახაობა გასართობების პასუხისმგებელ გამწესრიგებლებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც მიმსვლელებს შეუშვებენ ხვედრი გადასახადის გადახდევინების გარეშე, ან ასეთს გადაახდევინებენ ნაკლები ოდენობით და რომლებიც დაუშვებენ თავიანთ სალაროებში გადახდილ გადასახადის დადგენილი ვადის ზევით შეჩერებას, დაედებათ გადასახდელი:

ა) გადასახადის გადაუხდელობის ან გადასახადის დანაკლისისათვის—არა მეტეს გადაუხდელ გადასახადის დანაკლის თანხის ათჯერადი რაოდენობით;

ბ) გადასახადის სალაროში შეჩერებისათვის—არაუმეტეს 100 მანეთისა.

37. სანახაობა და გასართობებზე გადასახადის გადახდევინებული თანხები ჩაირიცხება სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტში.

VIII. დასკვნითი დებულებანი.

38. ყველა ადგილობრივ გადასახადისა და გამოსაღების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) სსრ კავშირის მთავრობასთან არსებული უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საკონსულო წარმომადგენლობანი ურთიერთობის საფუძველზე;

გ) თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო-საზღვაო ფლოტის, აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარების დაწესებულებები, სამმართველოები და საწარმოები;

დ) წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოებათა დაწესებულებები, რომლებიც ანხორციელებენ ამ საზოგადოებებისთვის უშუალოდ დაკისრებულ ამოცანებს, როგორიცაა: აფთიაქები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და მათი მსგავსი საწარმოებები, თუ მათი შემოსავალი ამ საწარმოებიდან მთლიანად მიიქცევა აღნიშნულ საზოგადოებებისთვის დაკისრებულ ამოცანების განხორციელებისათვის;

ე) თეატრები, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში, აგრეთვე რომლებიც ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე ისინი, რომლებიც ეკუთვნიან სამხედრო უწყებას;

ვ) რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანოები;

ზ) სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები;

თ) სახდაზღვევა—სახელმწიფო დაზღვევის ყველა ოპერაციების მიხედვით, ასევე დამზღვეველნი და სარფშემძენი სახდაზღვევის მიერ გაცემული დაზღვევის ჯილდოს სახით;

ი) დამაზღვეველნი და სარფშემძენნი ულცხოეთის სადაზღვევო საზოგადოებისაგან მიღებულ ჯილდოს სახით, სააქციონერო საზოგადოების „კრედიტბიუროს“ მეშვეობით;

კ) წყალზე მაშველი ნებაყოფლობითი საზოგადოების იმ ქონების მიხედვით, რომელიც გამოყენებულია შველა გადარჩენის მიზნისათვის და არა მოგების მიზნით;

ლ) მუშურ-გლეხური წითელ არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პროფესიონალური კავშირების და მათ გაერთიანებათა კულტურულ-საგამანათლებლო და სასპორტო დაწესებულებები, აგრეთვე მათ მიერ გამართული საჯარო სანახაობანი და გასართობები;

მ) სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოები, რომლებიც ეწევიან ოქროს და პლატინის საბადოების ძებნას, კვლევას და დამუშავებას, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საწარმოების და ხელის შემწყობ დაწესებულებების ჩათვლით.

39. ამა დადგენილების შესაფარდებლად ინსტრუქციას გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

40. ეს დადგენილება ძალაში შედის 1940 წლის 1 ივლისიდან.

41. ამა დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით ძალა დაკარგულად ჩაითვლება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედება:

ა) მუხ. მუხ. 28—32 ა/კ სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შესახებ, დამტკიცებული ა/კ სფსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წ. 9 აგვისტოს დადგენილებით. (ა/კ სფსრ კან. კრ. 1926 წ. № 8, მუხ. 697; 1927 წ. № 4, მუხ. 45 და № 9, მუხ. 121; 1928 წ. № 15, მუხ. 153 და 161; № 22, მუხ. 264; 1929 წ. № 13, მუხ. 102; № 17, მუხ. 147; № 19, მუხ. 178; 1930 წ. № 16, მუხ. 169; № 12, მუხ. 140; 1931 წ. № 3, მუხ. 28; 1934 წ. № 19—20, მუხ. 184, 185 და 186; 1935 წ. № 6, მუხ. 82; № 14—15, მუხ. 145);

ბ) ა/კ სფსრ-ში ადგილობრივ ფინანსების დებულების № 2 დანართი მიწის რენტის გადახდევინების წესის შესახებ, დამტკიცებული ა/კ სფსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 1931 წ. 29 იანვრის დადგენილებით (ა/კ სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 28; 1933 წ. № 1—2, მუხ. 1; 1935 წ. № 14—15, მუხ. 145);

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და ცაკის 1931 წ. 3 აპრილის დადგენილება ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ. (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 6, მუხ. 71; № 10, მუხ. 113; № 15, მუხ. 179; № 18, მუხ. 195, 196, 197; № 21, მუხ. 223; საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 13, მუხ. 99 და 108; № 21, მუხ. 202; № 23, მუხ. 226; 1933 წ. № 10, მუხ. 141; № 12, ვუხ. 163; № 18, მუხ. 2[illegible]4; 1934 წ. № 12, მუხ. 121; 1935 წ. № 10, მუხ. 57; № 16, მუხ. 111; 1936 წ. № 1, მუხ. 7; № 5, მუხ. 34; № 8, მუხ. 59; № 12, მუხ. 75; № 13, მუხ. 78; № 14, მუხ. 84; № 20, მუხ. 118; № 27, მუხ. 164; 1937 წ. № 21, მუხ. 157; 1938 წ. № 9, მუხ. 38; საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 7, მუხ. 28).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები:

ა) 1938 წ. 17 დეკემბრის „იპოდრომების ადგილობრივ გადასახადებისა და გამოსაღებებისაგან განთავისუფლების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 9, მუხ. 50);

ბ) 1938 წ. 28 დეკემბრის,—„სასპორტო საზოგადოების „დინამო“ ადგილობრივ გადასახადების და გამოსაღებებისაგან განთავისუფლების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 10, მუხ. 54);

გ) 1939 წ. 4 აპრილის,—„სახელმწიფო თეატრების ადგილობრივ გადასახადების და გამოსაღებებისაგან განთავისუფლების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 10, მუხ. 45).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მაისის 8. № 797.
თბილისი.

[illegible] სახ. საქ. [illegible]

и расходования. правила 7080
Груз. сер.
30к
П. 586/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунисти“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28

მთავლიტის რწმუნებულის № ვ—1631 შეკ. (Заказ) № 843 ტირაჟი (Тираж) 3500